



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა კანდელაკი

წევრები:

ნინო ცინდელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)



ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215606404

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჭიათურა
ფაქტობრივი მისამართი	ჭიათურა, სოფელი წყალშავი
საფოსტო ინდექსი	5500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tskalshavi@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595240128
--	-----------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 28 აპრილის ბრძანება MES 2 25 0000452865
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 22 და 23 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა- ნაგებობების რაოდენობის მიითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ჭიათურა, სოფელი წყალშავი (1 შენობა -ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ჭიათურა, სოფელი წყალშავი (1 შენობა -ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ჭიათურა, სოფელი წყალშავი (1 შენობა -ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლაში ვიზიტი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას.

ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში, ესწრებოდა დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის მასწავლებლების ინტერვიუების პროცესს, სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს დაწყებითი

საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვიზიტის შემდეგ დაწყებითი საფეხურის ექსპერტი მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 320	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (320 მოსწავლე). სკოლის მატერიალური რესურსი არ შეესაბამება მოთხოვნილ რაოდენობას. ექსპერტები, სკოლასთან შეთანხმებით შეჯერდნენ 150 მოსწავლეზე.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

სკოლის შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა სრული შესაბამისობით შეაფასა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა,
ექსპერტთა ჯგუფმა სრული შესაბამისობით შეაფასა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა,
ექსპერტთა ჯგუფმა სრული შესაბამისობით შეაფასა საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
--------------	--------------------	---------



	დაწვებითი საფეხურის კურიკულუმი	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის	

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებისმართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში(2025 წლის 30 დეკემბრამდე) წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებისმართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების	სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით



	შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწესებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სპორტი-სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა გამოეკრას თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეს ჰქონდეს მუდმივი წვდომა შეფასების კრიტერიუმებთან. სახელმწიფო ენა- სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და



		დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდა- სასურველია, მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში, ყველა თემის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდეს იმგვარი ფორმულირებით, როგორც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში გადმოგზავნილ ნიმუშებში. I-IV კლასების შეფასების რუბრიკებში, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, სასურველია, რომ სოლო ტაქსონომიის დონეებს შორის განსხვავებები იყოს მკაფიოდ გამოიჩენული და შინაარსობრივად დასაბუთებული. ყოველი დონის აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის არსს, გამოხატავდეს მოსწავლის ცოდნის სიღრმეს და ადეკვატურად ასახავდეს შესაბამის შემეცნებით დონეს. სასურველია, რომ V–VI კლასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, ცნების - „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები და მხატვრული მახასიათებლები“ - აღწერა თითოეულ დონეზე სრულად პასუხობდეს თავად ცნებას. მუსიკის შემაჯამებელი დავალებები სასურველია პირდაპირ კავშირში იყოს სასწავლო თემასთან და მოიცავდეს არა
--	--	---



		ზოგად, არამედ ისეთი ტიპის საკითხებს, რომლებიც რეალურად აფასებს მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის გააზრებას, გამოყენებასა და ინტერპრეტაციას, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. სასურველია, შემაჯამებელი დავალებების ტიპი იყოს მრავალფეროვანი და არ მოიცავდეს მხოლოდ ტესტურ დავალებებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, როგორც მუსიკის, ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემთხვევაში, თითოეული კრიტერიუმისთვის განსაზღვრულია კონკრეტული ქულა (მაგალითად, 2 ქულა), თუმცა ქულებს არ ახლავს განმარტება, რა შემთხვევაში ენიჭება მოსწავლეს 1 ან 2 ქულა. მიზანშეწონილია, რომ გაიწეროს ქულათა შესაბამისი აღწერებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	კომპიუტერული ტექნოლოგიები-სასურველია სსსმ პირებისთვის კომპიუტერის გამოყენების ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის საჭირო ინსტრუმენტების გაცნობა მოხდეს სასკოლო საზოგადოებისთვის



		სახელმწიფო ენა-სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. ესთეტიკური აღზრდა-მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში სასურველია აისახოს დიფერენცირების არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საბოლოო ნამუშევარი წარმოადგინონ მათთვის მისაღებ ფორმატში.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენები-სასურველია, რომ გრაფაში „კონტექსტ-მაგალითი“ მიეთითოს ის ტექსტი/ტექსტები (შესაძლოა სასწავლო ვიდეომასალა ან სხვა სწავლა-სწავლების პროცესში განსახილველი სხვადასხვა ტიპის მაგალითები), რომელთა განხილვა-გაანალიზება დაეხმარება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხები, ქვეცნებები, სამიზნე ცნებები) გაგებაში და რომლებსაც ეფუძნება თავად კომპლექსური ბუნების დავალებაც. სასურველია გერმანულის მეხუთე და მეექვსე კლასების კურიკულუმებში ცნებებად მიეთითოს ის ცნებები, რაც გერმანულის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის პირველად ვერსიაში იყო მოწოდებული (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და



		კულტურათა დიალოგი). სასურველია ორივე უცხოურ ენების კურიკულუმში არ დარჩეს თემასთან გრაფა „დავალების იდეა“ შეუვსებელი. ინგლისურის მე-5 კლასის კურიკულუმში მეორედან მეშვიდე თემების ჩათვლით მიეთითოს ცნებები, როგორც ეს პირველ თემასთანაა. ინგლისურის მე-6 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებებად მიეთითოს ის ცნებები, რაც წერია ინგლისურის მეექვსე კლასის კურიკულუმის პირველად ვერსიაში (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი). ესთეტიკური აღზრდა- I-IV კლასების მუსიკის კურიკულუმებში, საკითხის გრაფაში მოცემული თემატური ერთეულები და მაგალითები სათაურების სახით, სასურველია მოექცეს კონკრეტულ საგნობრივ კონტექსტში — მაგალითად, „მუსიკალური ქუდები“ (IVკლ.) განიხილებოდეს საკითხის „მუსიკით განწყობის გადმოცემის“ ჭრილში. ასევე სასურველია, თითოეულ თემატურ ერთეულს ახლდეს მკაფიოდ ფორმულირებული კონტექსტური მაგალითები, რაც გაადვილებს თემის დაკავშირებას რეალურ გამოცდილებასთან, ემოციურ აღქმასთან ან გარემოსთან. I-IV კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, რაც ასახული უნდა იყოს ცნებების შესაბამის გრაფაშიც. სასურველია, რომ
--	--	--



		საკითხის გრაფაში, თემატური ერთეულების ნაცვლად მიეთითოს კონკრეტული საკითხი, რაც თემის ფარგლებში მუშავდება. I-IV კლასების სახვით და გამოყენებით კურიკულუმებში მოცემული კონტექსტ-მაგალითები საჭიროებს სტილისტურ და შინაარსობრივ დახვეწას. ხშირ შემთხვევაში, ისინი ატარებენ სამუშაო ინსტრუქციის ან მოსწავლისთვის განკუთვნილი დავალების ხასიათს, სასურველია, რომ კონტექსტ-მაგალითი ასახავდეს ცნების გამოყენების მიზნობრივ გარემოს, რაც გააუმჯობესებს როგორც თემის გააზრებას, ისე სწავლების პრაქტიკულ ორიენტაციას.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	კომპიუტერული ტექნოლოგიები-სასურველია, მე- 2 კლასის კურიკულუმში პრეზენტაციის პროგრამის ანიმაციების და ტრანზაქციების მაგივრად (ჩემი აზრით ასაკთან შეუსაბამოა) მასწავლებელმა ანიმაციების შექმნის სწავლების მიზნით გამოიყენოს სკრეჩის ქართული ვერსიის მოძრაობის და გახმოვანების სკრიპტები (პროგრამაში ავტორიზაციის გარეშე)



		სასურველია შემოქმედებით პროდუქტის შექმნის დროს, მოხდეს საგნების ინტეგრაცია -მაგალითად დაწყებითი კლასებში გეომეტრიული ფიგურების სწავლებისას, გამოყენებული იქნას პროგრამა Paint-ი ამ ფიგურების გამოსახულების შესაქმნელად) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-I-IV კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და სამიზნე ცნებები არეულია. სასურველია შეუსაბამოთ ბუნებისმეტყველების სტანდარტს (I-IV კლ.) აგრეთვე, სასურველია კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა. ესთეტიკური აღზრდა-სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, შუალედური მიზნის შესაბამისი დავალების პირობები გაიწეროს სრულყოფილი და მკაფიო ფორმით, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში, „კომპლექსურის დავალების იდეის“ ნაცვლად მიეთითოს „შემოქმედებითი დავალების იდეა“.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	კომპიუტერული ტექნოლოგიები - მასწავლებელი იყენებს ონლაინ სასწავლო რესურსებს, რომლებიც მითითებულია კურიკულუმში და რეკომენდირებულია განათლების სამინისტროს მიერ, თუმცა სასურველია, სკოლას ჰქონდეს შემუშავებული ყოველწლიურად განახლებადი



		რეკომენდირებული ციფრული რესურსების სია. მაგალითად, ციფრული უსაფრთხოების მიმართულების სწავლებისას გამოყენებული იყოს პროფესული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი https://lms.geoskills.ge/ -პლატფორმის კურსი - „უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში“, ასევე ხელოვნების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს იგივე პლატფორმაზე გრაფიკული პროგრამების სასწავლო კურსების ზოგიერთი საბაზისო თემები (მაგ. ფერების თეორია) შემოქმედებითი უნარის განვითარების მიზნით) ესთეტიკური აღზრდა-სასურველია, რომ მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. სასურველია ასევე ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა ყველა ბმული ტექნიკურად იყოს გამართული და ხელმისაწვდომი.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	კომპიუტერული ტექნოლოგიები-სასურველია შემუშავდეს სასკოლო დოკუმენტი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესის შესახებ და კათედრაზე მოხდეს ამ წესის თანახმად რესურსების განხილვა, დამტკიცება, დოკუმენტირება



ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სასურველია I-IV დაწყებითების პედაგოგებმა ითანამშრომლონ V-VI კლასის ბუნების პედაგოგთან განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედგენილად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სპორტი-სასურველია სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გამოეკრას თვალსაჩინო ადგილას. ეს და თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე. სახელმწიფო ენა-სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდა-სასურველია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში, ყველა კლასის ყველა თემის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავდეს იმგვარი ფორმულირებით, როგორც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში გადმოგზავნილ ნიმუშებში. აღნიშნული რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მკაფიოდ აღწერს მოსწავლეთა საქმიანობას სოლო



		ტექსონომიის სხვადასხვა დონეზე. ასეთი სტრუქტურა და მოსწავლეზე მორგებულ უკუკავშირი დაეხმარება როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს პროგრესის აღქმასა და დაგეგმვაში. სასურველია, მუსიკის შეფასების რუბრიკებიც ჩამოყალიბდეს ხუთდონიანი სტრუქტურით, სადაც დონეებს შორის განსხვავება იქნება მკაფიო და შინაარსობრივად დასაბუთებული. მუსიკის შემაჯამებელი დავალებები უნდა იყოს პირდაპირ კავშირში სასწავლო თემასთან და მოიცავდეს არა ზოგად, არამედ ისეთი ტიპის საკითხებს, რომლებიც რეალურად აფასებს მოსწავლის მიერ შესწავლილი მასალის გააზრებას. სასურველია, შემაჯამებელი დავალებების ტიპი იყოს მრავალფეროვანი და არ მოიცავდეს მხოლოდ ტესტურ დავალებებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, როგორც მუსიკაში, ასევე სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თითოეული კრიტერიუმისათვის განსაზღვრულია ქულათა დიაპაზონი (მაგალითად, 1-2, 3-4 და ა.შ. ან უბრალოდ 2), მიზანშეწონილია, თითოეული კრიტერიუმისთვის განისაზღვროს ქულა და თითოეულ ქულას ახლდეს შესაბამისი აღწერა, რა შემთხვევაში იწერება
--	--	--



		1, 2 და სხვა ქულა, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სიზუსტეს. სასურველია, რომ IX კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელ დავალებაში პრაქტიკული ნაწილის პირობა იყოს მკაფიოდ და დეტალურად ჩამოყალიბებული, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილონ უშუალოდ იმ კომპონენტებზე, რომლებიც შეფასების საგანია. ამასთანავე, მიზანშეწონილია, დავალება არ დაეფუძნოს მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ მოიცავდეს ისეთი კრიტერიუმებით შეფასებასაც, როგორიცაა მაგალითად, სასურათე სიბრტყის სწორად ათვისება, წონასწორობა, კოლორიტი და სხვ. აღნიშნული უზრუნველყოფს შეფასების მრავალმხრივობას, ინდივიდუალური განსხვავებების პატივისცემას და ქმნის სამართლიან, ინკლუზიურ და თითოეული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სპორტი-სასურველია, მოსწავლეს სკოლამ შესთავაზოს კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი დავალება თეორიულ გაკვეთილებზე, ისე, რომ იყოს მორგებული მის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით



		საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატი ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი ან პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი) სახელმწიფო ენა-სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. ესთეტიკური აღზრდა-მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიზანშეწონილია აისახოს დიფერენცირების არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, საბოლოო ნამუშევარი წარმოადგინონ მათთვის მისაღებ ფორმატში.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენები-სასურველია, რომ გრაფაში „კონტექსტ-მაგალითი“ მიეთითოს ის ტექსტი/ტექსტები (შესაძლოა სასწავლო ვიდეო მასალა ან სხვა სწავლა-სწავლების პროცესში განსახილველი სხვადასხვა ტიპის მაგალითები), რომელთა განხილვა-გაანალიზება დაეხმარება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხები, ქვეცნებები, სამიზნე ცნებები) გაგებაში და რომლებსაც ეფუძნება თავად კომპლექსური ბუნების დავალებაც. სასურველია, ორივე უცხოური ენების კურიკულუმში არ დარჩეს თემასთან გრაფა „დავალების იდეა“ შეუვსებელი.



		სასურველია, გერმანულის მე-9 კლასის კურიკულუმში ცნებები შესწორდეს და მიეთითოს ის ცნებები, რაც მოცემულია მე-7 და მე-8 კლასების გერმანულის კურიკულუმში (ზეპირი კომუნიკაცია, წერითი კომუნიკაცია და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა). სასურველია, მე-8 კლასის ინგლისურის კურიკულუმში ცნებებიდან ამოიღებულ იქნას „ჟანრი.“ დანარჩენი ცნებები უცვლელი დარჩეს. ესთეტიკური აღზრდა-მუსიკის კურიკულუმში, ყველა თემას მიეთითოს კონტექსტ-მაგალითები. მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს ყველა ქვეცნება, რომელიც მუშავდება თემის ფრგლებში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში თემის ფარგლებში აისახოს არა ყველა, არამედ მხოლოდ ის ქვეცნებები, რომელებიც უშუალოდ მუშავდება თემის ფარგლებში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასურველია, ფიზიკის მასწავლებელმა იხელმძღვანელოს საგნობრივი სტანდარტით ძირითადი თემების განსაზღვრისას. მე-8 კლასში მითითებულია 3 თემა და უნდა იყოს 2 ძირითადი თემა სტანდარტის მიხედვით. სასურველია კათედრამ ითანამშრომლოს კურიკულუმების შედგენისას. სასურველია



		კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა. ესთეტიკური აღზრდა–სასურველია, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში შუალედური მიზნის შესაბამისი დავალების პირობა გაიწეროს სრულყოფილი და მკაფიო ფორმით. კურიკულუმის ჩარჩოში, „კომპლექსურის დავალების იდეის“ ნაცვლად მიეთითოს „შემოქმედებითი დავალების იდეა“. მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	ესთეტიკური აღზრდა–სასურველია, რომ მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს. სასურველის ასევე ბმულების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა ყველა ბმული ტექნიკურად იყოს გამართული და ხელმისაწვდომი.



ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სპორტი-სასურველია, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გამოეკრას თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეს ჰქონდეს მუდმივი წვდომა შეფასების კრიტერიუმებთან. ეს დაეხმარება სკოლას შეფასება იყოს უფრო მეტად გამჭვირვალე. სახელმწიფო ენა- სასურველია, რომ სახელმწიფო ენის მიმართულებით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირდეს ამა თუ იმ სასწავლო საკითხსა და სამიზნე ცნებას თითოეული თემის ფარგლებში ესთეტიკური აღზრდა-მუსიკის საგანში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკა ზოგად ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც ვერ აისახება კონკრეტული თემის შინაარსობრივი სიღრმე. სასურველია, რომ რუბრიკები შემუშავდეს თემის სპეციფიკის გათვალისწინებით და



		დაეფუძნოს უშუალოდ სამიზნე ცნებებს. ასევე, როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შეფასების რუბრიკები ჩამოყალიბდეს ხუთდონიანი სტრუქტურით, სადაც დონეებს შორის განსხვავება იქნება მკაფიო და შინაარსობრივად დასაბუთებული.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სპორტი-სასურველია, მოსწავლეს სკოლამ შესთავაზოს კიდევ უფრო მეტად მრავალფეროვანი დავალება თეორიული სწავლების დროს, ისე, რომ იყოს მორგებული მის ინტერესსა და შესაძლებლობებზე. მაგ. (პროექტულ სწავლებაში მიეცით საშუალება დავალება გადმოსცეს ნახატით ან მოამზადოს ბუკლეტი ან კედლის გაზეთი ან მოამზადოს ვიდეო რგოლი, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს ნამუშევარი ან მოამზადოს ტელე გადაცემა ან სოციალური გამოკითხვა) სახელმწიფო ენა-სასურველია, თუ საგნობრივ კურიკულუმებში უფრო ნათლად აისახება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. ესთეტიკური აღზრდა-მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მიზანშეწონილია დიფერენცირების პრაქტიკის ასახვა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საბოლოო პროდუქტი შექმნან მათთვის მისაღებ ფორმატში.



ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	უცხოური ენები-სასურველია, რომ გრაფაში „კონტექსტ-მაგალითი“ მიეთითოს ის ტექსტი/ტექსტები (შესაძლოა სასწავლო ვიდეომასალა ან სხვა სწავლა-სწავლების პროცესში განსახილველი სხვადასხვა ტიპის მაგალითები), რომელთა განხილვა-გაანალიზება დაეხმარება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხები, ქვეცნებები, სამიზნე ცნებები) გაგებაში და რომლებსაც ეფუძნება თავად კომპლექსური ბუნების დავალებაც. სასურველია, ორივე უცხოური ენების კურიკულუმში არ დარჩეს არცერთ თემასთან გრაფა „დავალების იდეა“ შეუვსებელი. სასურველია, გერმანულის მეათე კლასის კურიკულუმში შესწორდეს ცნებები (სწორი ვერსია: ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი). სასურველია გერმანულის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში მითითებულ ცნებებს დაემატოს ცნება „კულტურათა დიალოგი“. სასურველია ინგლისურის მეათე და მეთერთმეტე კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ცნებებად მიეთითოს ის ცნებები, რაც ასახული გახლდათ მეათე და მეთერთმეტე კლასების ინგლისურის კურიკულუმის პირველად ვერსიაში (ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი). სასურველია ინგლისურის მეთორმეტე კლასის საგნობრივ
--------------------------------	---	--



		კურიკულუმში პირველ თემასთან მოცემული ცნებები მითითებულ იქმნას დანარჩენ თემებთანაც. ესთეტიკური აღზრდა-სასურველია, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში პროექტული დავალების აღწერისას სრულად და მკაფიოდ აისახოს როგორც თავად პროექტის იდეა, ისე ის კონკრეტული პროდუქტი, რომლის შექმნაც მოსწავლეს პროექტის ფარგლებში ევალება. მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს კონტექსტს მაგალითებიც.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა-სასურველია აქტივობები, რომლებსაც სკოლა ახორციელებს და გასაუბრების დროს იქნა წარმოდგენილი, ასახული იყოს კურიკულუმში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სასურველია ქიმიის მე-12 კლასის კურიკულუმში უფრო მრავალფეროვნად იყოს წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები. სასურველია კურიკულუმში მითითებული იყოს სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა.



		<i>ესთეტიკური აღზრდა-მუსიკის კურიკულუმში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება.</i> <i>მუსიკის კურიკულუმში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.</i>
ინდიკატორი N2.1.2.3	<i>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;</i>	<i>ესთეტიკური აღზრდა-სასურველია, რომ მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში აისახოს ყველა ის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომელიც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.</i> <i>სასურველია, რომ კურიკულუმში მითითებული ყველა ციფრული რესურსი (ზმულები) იყოს ტექნიკურად გამართული და ხელმისაწვდომი, რაც ხელს შეუწყობს მათ ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში. ზმულების პერიოდული გადახედვა და განახლება უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოქნილობასა და რესურსების მდგრად გამოყენებას.</i>

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გამოვლენილ ხარვეზთან (3.4.1.1;) დაკავშირებით ინდიკატორების მიხედვით სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით: ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა. (2025 წლის 30 დეკემბრამდე)

ინდიკატორი 3.1.2.4. და ინდიკატორი 2.2.2.4. შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“ ვინაიდან ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ კონკურსის გამოცხადების დოკუმენტაცია, საკონკურსო კომისიის ოქმი და დანიშვნის ბრძანებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს. სკოლის მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. სკოლის მისიაა: ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით აღზარდოთ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

ხედვა: სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა უახლოესი ათწლეულების განმავლობაში შეძლებს მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რასაც მივაღწევთ ინოვაციური და

ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით. კურსდამთავრებულები მეტაკოგნიციის საშუალებით შეძლებენ განათლების უწყვეტ პროცესში ორგანულ ჩართვას, რითაც თავს დაიმკვიდრებენ შრომის ბაზარზე, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისია და ხედვაში დეკლარირებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერა, სკოლას აქვს საკმაოდ ბევრი პროექტი ამ მიმართულებით განხორციელებული. მომავალი წლიდან სკოლა აპირებს გაზარდოს საზოგადოებრივი მეცნიერებების საათები. ასევე წინა წლებში სკოლაში ფუნქციონირებდა სამოქალაქო განათლების კლუბები, რომლის აღდგენაც იგეგმება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-03 შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებით, მშობლებით და ასევე საშუალო საფეხურის მოსწავლეებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში, სადაც მითითებულია, რომ სკოლის ფილოსოფია მოწონებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმში, ჩანს, რომ სამუშაო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროექტი. პროექტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმში ნათლად ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში, სკოლის მისია გამოხატავს თემის სურვილებს და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სამუშაო პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში გუნდურობა, მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, დემოკრატიული მართვის სტილი წარმოადგენს ყოველდღიურობას და სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმში და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ანგარიშში ჩანს, რომ სკოლის ფილოსოფია მოწონებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, ასევე გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე და ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“-

დოკუმენტებით სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლა“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-03
- სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ანგარიში.
- სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი N1
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, (2025 წლის 20 თებერვლის ბრძანება N2-02), რომელშიც განსაზღვრულია აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის,დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხები. დოკუმენტში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის შემდეგი ქვეპროცესები :

- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცებისპროცესი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი;

- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილების შეტანის პროცესი;
- სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების პროცესი.

პროცესში ჩართულ მხარეებს წარმოადგენენ:

- სკოლის დირექცია;
- სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე /მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი);
- თემი
- სამეურვეო საბჭო

მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია მისი გაზიარებულობის მექანიზმები:

- სკოლის ვებგვერდი;
- ელექტრონული ფოსტა;
- დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა;
- პორტალი ვებგვერდზე;
- სოციალური მედია;
- საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან;

ამავე დოკუმენტში აღწერილია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და საქმიანობის წესი და პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს „სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები”.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია ამოცანებად, მითითებულია შესრულების ვადებიც. სკოლის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას და ხედვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მასში გაწერილია დაწესებულების გამართულად ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. სკოლის დირექცია ფლობს ყველა თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას აღნიშნულის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, (2025 წლის 20 თებერვლის ბრძანება N2-02)
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.
- „სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები“

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, (თავი 12 - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი) სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. მეთოდოლოგიის თანახმად,

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

4. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, (2025 წლის 20 თებერვლის ბრძანება N2-02)**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია სამტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, საქმიანობის მართვა, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში, თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია -მოვალეობები. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი სკოლის დოკუმენტი, (ბრძანება N2-06 სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები) რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს, როგორიცაა: ფუნქციები და პასუხისმგებლობები, უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისგან.

ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი.

ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი: სკოლის ექიმი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი და ცეცხლფარეში.

სამტატო განრიგი შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. სკოლას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებული ჰყავს 3 დამლაგებელი, 2 მეეზოვე და ბიბლიოთეკარის დამხმარე.

პედაგოგიური პერსონალი შედგება - 22 მასწავლებლისაგან; 4 წამყვანი, დანარჩენი უფროსი, ასევე 1 მენტორი მასწავლებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 5 საგნობრივი კათედრა:

მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა,

უცხოური ენების კათედრა,

სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა,

ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა,

დაწყებითი საფეხურის კათედრა.

კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ყველა თანამშრომლის მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები
- ბრძანება N2-06 სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- თვითმმართველობის დებულება.

- საშტატო განრიგი
- სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას.

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შინაგანაწესით განსაზღვრულია:

ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. დირექტორის ბრძანებით (N2-09) შექმნილია ხარისხის ჯგუფის დებულება, რომლის მიზანია:

ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ შემდეგ ვალდებულებებს: ა) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის მიერ განხორციელებულ აქტივობებში. ბ) მონაწილეობას იღებენ ხარისხის ჯგუფის საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში; გ) მონაწილეობას იღებენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების შიდა საგაკვეთილო დაკვირვების მოსამზადებელ შეხვედრებში; დ) მონაწილეობენ თავისი პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის განმავითარებელ

შეფასებაში; ე) მოთხოვნის შემთხვევაში, პირადად აცნობებენ მასწავლებელს ხარისხის ჯგუფის რეკომენდაციებს და აძლევენ მას ყველა საჭირო განმარტებას.

სკოლას აქვს დოკუმენტი: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. (N2-10) დოკუმენტის შექმნის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება. დოკუმენტი ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვა“ მე-10 მუხლია კადრების მოზიდვა და შერჩევა.

სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. სკოლა ვაკანტური ადგილის შესავსებად დოკუმენტაციას აქვეყნებს <http://teacherjobs.ge/> -ზე. სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები. (საკონკურსო კომისიის ოქმი N2), სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული.

ხელშეკრულება მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი „სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, სადაც აღწერილია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და სპორტის საათები შეთავსებული აქვთ დაწყებითი განათლების პედაგოგებს, ისე რომ მათ არ უდასტურდებოდათ შესაბამისი საგნების სწავლების კომპეტენცია. თუმცა,

შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შიდა კონკურსის დოკუმენტაცია, საკონკურსო კომისიის ოქმი და მასწავლებელთა დანიშვნის ბრძანებები, შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა.

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის დირექტორის ბრძანებით მასწავლებლებს გამოეცხადათ მაღლობა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალური შესრულებისთვის (ბრძანება N1/კ-14) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება დირექტორის ბრძანება (N2-09)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. (ბრძანება N2-10)
- შინაგანაწესი
- საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი
- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები.(საკონკურსო კომისიის ოქმი N2),
- ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის ბრძანებით (N2-07) დამტკიცებული აქვს სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის შეფასების კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის და ცეცხლფარეშის შეფასების კრიტერიუმებს. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშავებასა და განხორციელებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია შესრულებული სამუშაოს შეფასება, რომლის თანახმადაც სკოლა სისტემატურად განახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ინდიკატორი არ ფასდება პირველად ავტორიზაციაზე

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. მასწავლებელთა და პერსონალის პირად საქმეში წარმოდგენილია საკმაოდ ბევრი სერტიფიკატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. აღნიშნულიდან გამომდინარე თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები.

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში 21-ე მუხლია თანამშრომელთა მოტივაცია, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ.

მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

1. მაღლობის გამოცხადება;

2. სიგელით დაჯილდოება;

3. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

4. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მადლობის გამოცხადების ბრძანება
- სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის შეფასების კრიტერიუმები -ბრძანება N2-07

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებას. დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში დანერგილია შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ე.წ. PDCA მიდგომას: დასახული ამოცანების შესასრულებლად სკოლა გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს (სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს შესასრულებელ

სამუშაოს, განხორციელების პერიოდს და პასუხისმგებელ პირებს. სწავლის/ სწავლების პროცესის მიმდინარეობის და ხარისხის შეფასებისას შემოწმდება თუ რამდენად შეესაბამება რეალურად მიმდინარე სასწავლო პროცესი საგნობრივი პროგრამით განსაზღვრულ ფორმატს და პირობებს, რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდება მასწავლებელი დაკისრებულ ვალდებულებებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი ხდება შემდეგი გზით: გაკვეთილებზე დაკვირვება, კლასზე დაკვირვება, სადიაგნოსტიკო წერები კლასების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკის მონიტორინგი და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შექმნილი აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დირექტორის ბრძანება N2-14). დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/ საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. დოკუმენტი მოიცავს მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს, ასევე შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს: ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საჩხერის რაიონულ სასამართლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას დირექტორის ბრძანებით (N2-16) დამტკიცებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი.სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. დოკუმენტი მოიცავს:მშობლის სკოლაში გამოცხადების წესს, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგიას.

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში.

სკოლას ასევე დირექტორის ბრძანებით N2-15 შექმნილი აქვს დოკუმენტი “სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა”, რომლის პირველი თავია მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები, ხოლო მეორე თავი - სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (დირექტორის ბრძანება N2-14)
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მშობლის ინფორმირების წესი (დირექტორის ბრძანება N2-16)
- “სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა” (დირექტორის ბრძანება N2-15)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი.

მშობლის ინფორმირების წესის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხებს, მათ შორის, სოციალური ქსელს, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესინჯერ-ჯგუფებსა და თიმის გუნდებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს,



სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვრული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედსაბჭოს ოქმები
- მშობლის ინფორმირების წესი (დირექტორის ბრძანება N2-16)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფრასტრუქტურა, ასევე ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა განსაზღვრული ჰყავს სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია სსიპ-მანდატურის სამსახურის მიერ და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს. ბრძანებით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირებიც სქესის მიხედვით. მოსწავლეები მუდმივად არიან მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში. შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის 44 კამერა, აქედან 19 გარე კამერა, რომელიც სრულად აკონტროლებს ეზოს. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვიზუალური დათვალიერებით, შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი.

სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N2-29 ბრძანებით და შეთანხმებულია შსს სსდ -საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებულ წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.

სკოლას აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N129, რომელშიც არის რამდენიმე შეუსაბამობა, თუმცა სკოლას აქვს ვადა გამოსასწორებლად. აქტი გაცემულია 2025 წლის 30 აპრილს.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პროცესი დაწყებულია, გაგზავნილია შესაბამის სტრუქტურებთან მიმართვის წერილი. სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2025 წლის 30 დეკემბრამდე) წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური.*

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას სამტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას გაფორმებული აქვს ექიმთან ხელშეკრულება. სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-19 დამკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია დარაჯი და ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ., რითაც ასევე რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. ხშირად ტარდება აქტივობები ბულინგის თემაზე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ოთახი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებული ჰყავს 3 დამლაგებელი და 2 მეეზოვე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას დირექტორის ბრძანებით (N2-20) დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. დოკუმენტის მე-9 მუხლი ეხება მონაცემების დაცვას ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას. სკოლის სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში დაცულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- დარაჯის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.(დირექტორის ბრძანება N2-20)
- პერსონალური ოფიცრის დანიშვნის ბრძანება (ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანება N2-20)
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N129
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავში. საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად სკოლის დაზუსტებული ფართობია 11902.00 კვ.მ. სკოლა სამსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **69 მოსწავლე**. სკოლაში დასაქმებულია 22 მასწავლებელი. სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. პირველ სართულზეა სპორტული დარბაზი, აქვს საკმაოდ დიდი ეზო, რომლის მოწყობაც მიმდინარეობს. ახალი რეაბილიტირებულია სპორტული მოედანიც. სკოლაში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, სასკოლო საზოგადოება სარგებლობს ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, გამოყოფილი ოთახებით. შემუშავებულია სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესები,

(კომპიუტერული ლაბორატორიის და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი). სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ინვენტარიზაციის წიგნი. ბიბლიოთეკის საქმიანობა ეფუძნება ბიბლიოთეკის დებულებას. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შედგება სახელმძღვანელოების, საბავშვო ლიტერატურის, დამხმარე სახელმძღვანელოების, ქართული და უცხოური ლიტერატურისაგან. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არის შესასვლელი პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და ლიფტი. ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, აქვს რესურსოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩასატარებლად. იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის გამოყენებულია საკლასო ოთახი. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი



- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სავარისი კომპიუტერული ტექნიკით, სკოლაში 30 კომპიუტერია, აქედან 2 პერსონალური კომპიუტერი და 28 პორტაბელური კომპიუტერი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია 17 ლეპტოპი; ყველა მუშა მდგომარეობაში. სკოლის მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პროექტორებს. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნულის რეგულირების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს „კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლის სარგებლობაში არსებული რესურსების, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- პორტაბელური კომპიუტერების მიღება- ჩაბარება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (N2-24) დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. დაწესებულებაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები:

1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;
2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;
3. საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
5. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: Tskalshavi@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (E-school). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოების წესი (ბრძანება N2-24)
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/school>, რომელზეც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, (სკოლის ტიპი, შენობების რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა) სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს და სოციალურ გვერდს (facebook). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას განსაზღვრული ჰყავს, მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს, სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **3.6.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. პირველად ავტორიზაციაზე ინდიკატორი არ ფასდება.

4. სკოლის ვებგვერდზე <https://skolebi.emis.ge/school> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულად არის ატვირთული. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/>
- ვიზუალური დათვალიერება
- facebook-ის გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელსაც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე და თანხების განკარგვა მიმდინარეობს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის საფუძველზე ხდება შესყიდვების გეგმის შედგენა. ვაუჩერული დაფინანსების გაზრდის ან/და სხვა შემოსავლების გაზრდის შემთხვევებში კანონმდებლობის დაცვით ხდება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ასევე შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. ბიუჯეტი აგებულია სკოლის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მთელი წლის მანძილზე ბიუჯეტის მიხედვით ხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს დასამტკიცებლად, სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ გეგმას და ტვირთავს გვერდზე ePLAN, როგორც გეგმას ასევე შესრულების ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- 2024 წლის საკასო შესრულება
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები

გაწერილია სკოლის შინაგანაწესი, ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;

დოკუმენტში ”სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა” პირველი თავია - მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები.

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ერთი თავი ეძღვნება სკოლის მოსწავლეთა უფლებების დაცვას სასწავლო პროცესში, კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით.

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად სკოლა ვალდებულია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, ასევე კლასის დამრიგებელმა რეგულარულად უნდა მიაწოდოს მშობელს მოსწავლის აკადემიური შეფასების, დისციპლინის, სირთულეებსა და მიღწევების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ”სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა”

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანებით N04/6). მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას აქვს შექმნილი დოკუმენტი „სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. (დირექტორის ბრძანება N2-25). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ასევე, სკოლის და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები. სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად.(აირჩიეს გერმანული) ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. მოსწავლეებს აქვთ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევის შესაძლებლობა. როგორც მეორე უცხო ენის, ისე არჩევითი საგნების არჩევის დროს დგება ოქმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო სერვისების და დამატებითი აქტივობების შესახებ ინფორმაციის ყველასათვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო საინფორმაციო დაფაზე. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- E-school-ის ბაზა;
- „სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალშავის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. (დირექტორის ბრძანება N2-25)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს დოკუმენტი “მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომელიც მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, პირველკლასელთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს, დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესის განსახორციელებელი სკოლაში ჯანსაღი გარემოს შექმნაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, თუმცა განსაკუთრებული როლი მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს აკისრიათ. მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მათი ჩართულობით იქმნება მზრუნველი გარემო, რაც წინაპირობაა სკოლაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

